

„რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელის ვიზიტი აფხაზეთში“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აფხაზეთში ორი დღე გაატარა და 19 აპრილს ვიზიტს ასრულებს. ოკუპირებული აფხაზეთისთვის სერგეი ლავროვის ვიზიტი აპრილის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა და სოხუმელების უზარმაზარი ინტერესი მიიპყრო.

ოფიციალურად, მისი ჩამოსვლა უკავშირდებოდა სწორედ სოხუმში რუსეთის საელჩოს შენობათა ახალი კომპლექსის გახსნის საზეიმო ცერემონიას, რომელიც 18 აპრილს გაიმართა.

“მინდა, ჩვენს ყველა დიპლომატს ახალმოსახლეობა მივულოცო. დაე, სამუდამო იყოს აფხაზ ხალხთან ჩვენი მეგობრობა“, – განაცხადა ლავროვმა ღონისძიების ოფიციალური ნაწილის გახსნისას.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვდა აფხაზეთის პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელს – დაურ კოვეს.

შეხვედრების უმეტესობამ დახურულ კარს მიღმა ჩაიარა, ჟურნალისტების მონაწილეობის გარეშე. ხაჯიმბამ ჟურნალისტებს მხოლოდ ის აცნობა, რომ განსახილველ საკითხებს შორის იქნებოდა:

- 1) რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის დაცვა;
- 2) აფხაზეთის მოქალაქეებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება;
- 3) 2015-2017 წლებში, აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამების ფარგლებში, პროექტების განხორციელება.

“აფხაზეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების ყველაზე სანდო უზრუნველყოფა და გარანტია ის ურთიერთობებია, რომელიც რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით და იმ კონკრეტული ზომებით არის გამყარებული, რომლებიც ... გარედან რაიმე აგრესიული მცდელობების არდასაშვებად ყოველდღიურად ტარდება“, – განაცხადა სერგეი ლავროვმა აფხაზეთის პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასთან შეხვედრის მიწურულს.

19.04.2017 президент ра http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=5762

„მრგვალი მაგიდა „შავი ზვის რეგიონში ნატოს სამხედრო ყოფნის გაძლიერება და აფხაზეთის ეროვნული უსაფრთხოება“

სოხუმში, მრგვალი მაგიდა თემაზე: „შავი ზვის რეგიონში ნატოს სამხედრო ყოფნის გაძლიერება და აფხაზეთის ეროვნული უსაფრთხოება“ გაიმართა. შეხვედრა არაღიარებული აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და რუსეთის თავდაცვის მინისტრის მე-7 სამხედრო ბაზის ორგანიზებით მოეწყო.

ღონისძიებას ექსპერტები, პოლიტოლოგები, რუსეთის თავდაცვის მინისტრის წარმომადგენლები და სტუდენტები დაესწრნენ. მათ აღნიშნეს, რომ ალიანსი საკუთარი ინტესების დასაცავად, რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკის შეკავების საბაზით, საქართველოს ტერიტორიას ნატოს პლაცდარმად იყენებს.

უნივერსიტეტის პრორექტორმა ვიქტორ მაღანძიამ აღნიშნა, რომ გლობალურმა პრობლემებმა, რომლებმაც თავი იჩინეს ამ ბოლო დროს, წინ წამოწიეს აღნიშნული პრობლემა. „ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა საფრთხეს და რისკებს შეიცავენ, ესა თუ ის მოვლენები“, – თქვა მან.

უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის თანამშრომელმა კარინე სეპიანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ „საქართველოს ამ დრომდე არ მოუწერია ხელი აფხაზეთთან ძალის გამოუყენებლობის დოკუმენტისთვის“. მან დასძინა, რომ ჟენევის მოლაპარაკებები, ამჟამად დიალოგის წარმართვის ერთადერთი გზაა.

თავის მხრივ, რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზის წარმომადგენელმა ანდრეი ტირტოვმა საქართველოს სამხედრო პოტენციალის შესახებ გააკეთა მოხსენება და აღნიშნა, რომ ტექნიკური უზრუნველყოფისა და ორგანიზაციის თვალსაზრისით, ის ერთ – ერთი უძლიერესია ამიერკავკასიის რეგიონში.

„აფხაზეთ-რუსეთის საზღვრის გადაკვეთა საგრძნობლად გამარტივდება“

"რუსულ - აფხაზური" ე.წ. საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით ტურისტული სეზონის პიკზე პრობლემები არ შეიქმნება. ამის შესახებ შესაბამისი უწყებებისა და სამსახურების წარმომადგენლებმა სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

რესპუბლიკის დე-ფაქტო საკონსულო დაპარტამენტის წარმომადგენლის ლაშა ავიძბას თქმით, "აფხაზეთ-რუსეთის საზღვრის გადაკვეთა საგრძნობლად გამარტივდება, რადგან საკონტროლო - გამშვებ პუნქტთან საკონსულო განყოფილება გაიხსნება, სადაც ტურისტები ვიზებს მიიღებენ".

"იმ ქვეყნების მოქალაქეების რიცხვი, რომლებიც სავიზო რეჟიმს ექვემდებარებიან, 7 და 8 ათას ადამიანს, ანუ ტურისტების საერთო რაოდენობის 1% შეადგენს. ვიზები 2-3 წუთში ფორმდება", - განმარტა ავიძბამ.

ე.წ. საგარეო უწყების წარმომადგენელმა კან ტანიაშ დააზუსტა, რომ "სავიზო რეჟიმი არ ვრცელდება იმ ქვეყნებზე, რომლებმაც აღიარეს აფხაზეთი, ასევე ყაზახეთისა და ბელორუსის მოქალაქეებზე. მათ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2 კვირის განმავლობაში შეუძლიათ დარჩენა".

თავის მხრივ, დე-ფაქტო სასაზღვრო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, "ფსოუს საკონტროლო - გამშვები პუნქტის გამტარუნარიანობა დღე - ღამეში 28 - 45 ათას ადამიანს და 2000 ერთეულ ავტოტრანპორტს შეადგენს".

ამავე ცნობით, "ახალი კანონმდებლობის თანახმად, სამუშაო ვიზების გაცემა 2017 წლის 22 მარტს დაიწყო. ამ პერიოდის განმავლობაში 1 250 სამუშაო ვიზა გაიცა. ერთთვიანი ტურისტული ვიზის ღირებულება 350 რუბლს შეადგენს, ხოლო 6 თვიანის - 700 რუბლს".

„მოსკოვთან ხელმოწერილი დოკუმენტი სოხუმში არაერთგვაროვნად შეაფასეს“

ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის ფორმირების შესახებ. აფხაზეთის მხრიდან შეთანხმებას ხელი არაღიარებული რესპუბლიკის შს მინისტრმა ასლან კობახიამ, ხოლო რუსეთის მხრიდან შს მინისტრის მოადგილემ იგორ ზუბოვმა მოაწერეს. აფხაზური მედიის ცნობით, ცენტრი ორგანიზებულ დანაშაულთან ერთობლივი ბრძოლის კოორდინაციას ისახავს მიზნად.

აღსანიშნავია, რომ სოხუმში არაერთგვაროვნად შეაფასეს აღნიშნული ცენტრის გახსნა. „პარლამენტის დეპუტატთა“ და საზოგადო მოღვაწეთა ნაწილმა გაავრცელა მიმართვა, რომელშიც დოკუმენტის ხელმოწერის დროებით შეჩერებას ითხოვდნენ, რადგან მათი თქმით, შეთანხმების ზოგიერთი პუნქტი „კითხვებს ბადებდა და შეშფოთებას იწვევდა“. მიუხედავად ამისა, სოჭში დოკუმენტს ხელი მოეწერა.

შეგახსენებთ, რომ აფხაზურ მედიაში 2016 წლის 6 ოქტომბერს დებულების პროექტის ტექსტი გამოაქვეყნდა, რომელიც პრაქტიკულად არ შეცვლილა. (<https://abh-n.ru/polozhenie-ob-ikc/>)

„აფხაზეთში კიდევ ერთი რუსული სამხედრო ქალაქი შენდება“

რუსეთი აფხაზეთში სამხედრო ქალაქების მშენებლობას განაგრძობს. მიმდინარე წელს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონში 600-მდე რუსი სამხედროსთვის ბინების მშენებლობა იგეგმება. თვითაღიარებულ აფხაზეთში რუსი სამხედროებისთვის განკუთვნილი ბინების

მშენებლობა წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს, ამის შესახებ სამხრეთის სამხედრო ოლქის უფროსის ვადიმ ასტაფიევის პრესსამსახური ავრცელებს ინფორმაციას.

"მიმდინარე წლის ბოლოსთვის, 600-მდე რუსმა სამხედრო მოსამსახურემ, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე კონტრაქტით მსახურობენ, რუსეთის სამხედრო ქალაქში სრულყოფილი, გარემონტებული ბინა უნდა ჩაიბაროს. ეს ოფიცრებს, მაღალი და დაბალი რანგის სამხედროებს, რომლებიც აფხაზეთში ოჯახებთან ერთად არიან ჩასული და იქ მსახურობენ, ნორმალური ცხოვრების პირობებს შეუქმნით", - ნათქვამია პრესსამსახურის განცხადებაში.

16.05.2017 TACC <http://tass.ru/armiya-i-opk/4254023>

„საქართველოს მოქალაქეს აფხაზეთის მოქალაქეობას მხოლოდ პრეზიდენტი მისცემს“

ოკუპირებული აფხაზეთის საპასპორტო სამმართველომ ბინადრობის უფლების გასაცემად განცხადებების მიღება დაიწყო. საბუთების მიღების, განხილვის, გაფორმების ან ანუღირების ფუნქციებს საპასპორტო განყოფილებები შეასრულებენ.

არაღიარებული რესპუბლიკის შსს-ს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბინადრობის უფლება, წარმოდგენს დოკუმენტს, რომელიც „უცხოეთის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, აფხაზეთის რესპუბლიკაში მუდმივად ცხოვრების, თავისუფლად გასვლისა და შემოსვლის უფლებას ანიჭებს. მოქალაქეობის არმქონე პირისთვის მინიჭებული ბინადრობის უფლება, ამავე დროს მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიც იქნება“.

აღნიშნული საბუთი გამარტივებული წესით გაიცემა „უცხოეთის მოქალაქეზე, რომელიც დაიბადა გალის რაიონის ტერიტორიაზე (აფხაზეთის ასსრ) და მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთში 1999 წლის 12 ოქტომბრიდან არანაკლებ 10 წლისა, მისი ოჯახის წევრებზე, (ცოლი/ქმარი) და არასრულწლოვან შვილებზე“. ბინადრობის უფლება 5 წლის ვადით გაიცემა.

ცნობისთვის, გასული წლის 29 დეკემბერს დე-ფაქტო პარლამენტმა გალის რაიონის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის სამართლებრივ სტატუსის დარეგულირების მიზნით, „ უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიტანა. მიმდინარე წლის 30 დეკემბერს ე.წ. მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ბინადრობის უფლების მიმნიჭებელი ბლანკები დაამტკიცეს.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შს მინისტრმა ასლან კობახიამ 21 აპრილს გალის რაიონში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც პასპორტების გაცემას ეხებოდა, განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს მოქალაქე მოინდომებს უარი თქვას თავის მოქალაქეობაზე და მიიღოს აფხაზეთის მოქალაქეობა, მან დე-ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას შესაბამისი თხოვნით უნდა მიმართოს. იმ შემთხვევაში კი, თუკი ადგილობრივ მკვიდრს არ ეკუთვნის მოქალაქეობა, ის მიიღებს ცხოვრების უფლებას, თუმცა, ამ შემთხვევაში განიხილება მხოლოდ იმ მოქალაქეების საქმეები, რომლებიც 1999 წლიდან 10 წლის მანძილზე ცხოვრობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე და არ გააჩნიათ მოქალაქეობა.

21.04.2017 <https://www.youtube.com/watch?v=ku3JIHjaMcQ>

„რაულ ხაჯიმბა სოხუმში გაეროს წარმომადგენელს შეხვდა“

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელი ნილს სკოტი სოხუმში ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტს და საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა. რაულ ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ აფხაზეთი მზადაა დიალოგისთვის და იმ საკითხების კონსტრუქციული განხილვისთვის, რომლებიც რესპუბლიკის ინტერესებს შეეხება. UNDP - ის მუდმივმა წარმომადგენელმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ გაეროს განვითარების პროგრამა არაერთ პროექტს ახორციელებს აფხაზეთში, რომელთაც მისი აზრით, დიდი სარგებლობა მოაქვს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ხაჯიმბას თქმით, „აფხაზეთში დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარებას“ და აღნიშნა, რომ გაერომ უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი ამ პროცესს.

ნილს სკოტთან საუბრისას ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან დახმარებას მათ რუსეთის ფედერაცია უწევთ. თუმცა, მისივე თქმით, ეს ვერ გაგრძელდება მუდამ, ამიტომ ეკონომიკის და ფინანსური სისტემის ეფექტური გავითარებისთვის, საჭიროა ახალი პირობების შექმნა.

16.05.2017 აიააირა http://aiaaira.com/news/politics/raul_khadzhimba_vstretilsya_s_predstavitelem_oon/

„ჟენევის დისკუსიის მონაწილეებმა აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვარი დაათვალიერეს“

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისების საკითხებში და ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარე ჰერბერტ ზალბერი ოკუპირებული გალის რაიონში იმყოფებოდა მოლაპარაკებების სხვა წარმომადგენლებთან ერთად. ის აქ აფხაზურ დელეგაციასთან ერთად ჩავიდა, რომელსაც დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ დაურ კოვე ხელმძღვანელობდა. მათ დაათვალიერეს მარტის თვეში დახურული ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტები და ვითარებას ადგილზე გაეცნენ.

დაურ კოვეს განცხადებით, ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის წინ მსგავსი ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ მოლაპარაკებების მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ საკუთარი თვალით ენახათ, რამდგომარეობაა გალის რაიონში, ამ პუნქტების დახურვის შემდეგ.

„წინა რაუნდზე, სადაც იდგა საკითხი საკონტროლო-გამშვები პუნქტების დახურვის საკითხზე, ქართულმა მხარემ ისაუბრა მოსალოდნელ ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ კატასტროფაზე გალის რაიონის მცხოვრებლებისთვის. ჩვენ არც თუ ცოტა ძალისხმევა გავწიეთ იმისთვის, რომ დაგვერწმუნებინა - მსგავსი კატასტროფა არ არის. მე მაშინ შევთავაზე თანათავმჯდომარეებს, მოსულიყვნენ და ადგილზე ენახათ სიტუაცია, რას წარმოადგენდნენ ეს საკონტროლო-გამშვები პუნქტები“, - განაცხადა დე ფაქტო მინისტრმა.

დაურ კოვეს თქმით, დღეს მათ ნახეს, რომ ჟენევის თანათავმჯდომარეების პოზიცია გარკვეულწილად შეიცვალა, რადგან მათ საკუთარი თვალით ნახეს, რა ხდებოდა ამ პუნქტებზე, რომლებიც არ პასუხობდნენ არანაირ სტანდარტებს, მათ შორის უსაფრთხო გადაადგილების თვალსაზრისით. მისივე განმარტებით, სტუმრები თავად დარწმუნდნენ ასევე იმაში, რომ „საკონტროლო-გამშვებ“ პუნქტ „ენგურზე“ არავითარი წინააღმდეგობები არ არის და მოსახლეობაც მშვიდად გადაადგილდება.

18.05.2017 EADaily <https://easily.com/ru/news/2017/05/18/uchastnikam-zhenevskih-diskussiy-pokazali-zakrytie-na-granice-s-gruziye-kpp>

„აფხაზეთის რესპუბლიკა ყირიმს ინერტულ მასალებს მიაწვდის“

აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკა ყირიმს ინერტულ მასალებს მიაწვდის – ამის შესახებ აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკაში დღეს განაცხადეს. გადაწყვეტილება იალტის 2017 წლის ეკონომიკურ ფორუმზე იქნა მიღებული – ადგილობრივი მედია წერს. შესაბამისი ხელშეკრულების დადებას მხარეები უახლოეს მომავალში გეგმავენ.

21.04.2017 апсныпресс <http://www.apsnypress.info/news/perspektivy-postavki-granitnogo-shchebnaya-iz-abkhazii-v-krym-obsuzhdalis-na-vstreche-v-ramkakh-yamef/>

„ბიჭვინთა - მიუსერის ნაკრძალი შესაძლოა განადგურდეს“

ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტმა ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალში უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით, გასვლითი თათბირი გამართა. რაულ ხაჯიმბას განცხადებით, აღნიშნული კანონდარღვევის წინააღმდეგ კონკრეტული ღონისძიებები დროულად არ განხორციელებულა.

ეკოლოგიის და ბუნების დაცვის კომიტეტის ე.წ. ხელმძღვანელის საველი ჭითანავას განმარტებით, ყველაფერი, რაც ნაკრძალის ტერიტორიაზეა განთავსებული, „დაცულია კანონით“. „თუ ახლა არ შევაჩერებთ ამ სამუშაოებს, ჩვენ შესაძლოა ნაკრძალი დავკარგოთ, ამ ტერიტორიაზე დაუშვებელია რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოების წარმოება“, - თქვა ჭითანავამ.

თავის მხრივ, დე ფაქტო რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ზურაბ აჩბამ აღნიშნა, რომ პროკურატურა დაინტერესებულია ამ საკითხით. „აღძრულია სისხლის სამართლის ორი საქმე, უკანონო მშენებლობასთან და კოლხური ბზის განადგურებასთან დაკავშირებით“, - განაცხადა მან.

შეხვედრის ბოლოს ხაჯიმბამ „გენერალურ პროკურატურას და შესაბამის სამსახურებს საკითხში გარკვევა და აღნიშნული კატეგორიის კანონდამრღვეთა მიმართ სანქციების გამლიერება დაავალა“.

25.04.2017 апсныпресс <http://www.apsnypress.info/news/raul-khadzhimba-nikakikh-postroek-na-teritorii-pitsunda-myuserskogo-zapovednika-byt-ne-dolzno/>

„აფხაზეთში კოლხური ბზის გადარჩენის პროგრამა ამოქმედდება“

არაღიარებულ აფხაზეთში კოლხური ბზის აღორძინების ხელშემწყობი პროგრამა იწყება, რომელსაც ეკოლოგიური ორგანიზაცია "აფსაბარა" ახორციელებს. მისი წევრების განმარტებით, ამ დროისათვის უკვე მომზადდა მიწის ნაკვეთი გუდაუთის რაიონში, სადაც ეკოლოგები კოლხური ბზის გაშენებას გეგმავენ.

მათი ცნობით, ორწლიანი დაკვირვების შემდეგ, აქ მოყვანილ ნერგებს ღია გრუნტში და იმ ადგილებში გადარგავენ, სადაც ადრე ბზა ხარობდა.

აფხაზეთის დე-ფაქტო ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის კომიტეტის ხელმძღვანელის რომან დბარის განცხადებით, უკვე შემუშავდა ბზის ხელოვნურად გაშენების ინსტრუქციები.

კოლხური ბზის აღორძინება გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება. ადგილობრივი მედიის ცნობით, ორი წლის განმავლობაში აფხაზეთში კოლხური ბზის 70% - ზე მეტი მავნე მწერმა ფაროსანმა კუსებურამ დააზიანა. მასთან ბრძოლის მიზნით 2017 წლის „რესპუბლიკური ბიუჯეტიდან“ 8 მილიონი რუბლი გამოიყო.

05.05.2017 спутник абхазия <http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170505/1020970363/teplica-i-morozilnik-programmy-spaseniya-samshita-v-abxazii.html>

„კოდორის ხეობისკენ მიმავალი გზის კრიტიკულ მდგომარეობაშია“

გულრიფშიდან კოდორის ხეობისკენ მიმავალი გზის მონაკვეთი ავარიულ მდგომარეობაშია და რეაბილიტაციას საჭიროებს, ამის შესახებ საგანგებოდ გამართულ თათბირზე აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა განაცხადა.

„აზხაზბერეგოზაშიტას“ უფროსის იგორ კაზანბას განცხადებით, კოდორის ხეობისკენ მიმავალ გზაზე 22 ხიდი და ორი გვირაბია, რომლებიც ასევე, ავარიულ მდგომარეობაშია. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სკითხს რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელთან რაშიდ ნურგალიევთან განიხილავენ, რადგან, რაულ ხაჯიმბას თქმით, „გზის ამ მონაკვეთს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს“.

ამავე ცნობით, უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, სარემონტო სამუშაოების მსვლელობისას, გზის ავარიული მონაკვეთები ჩაიკეტება.

19.05.2017 президент ра http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=5890

„გალის რაიონის დაბა პრიმორსკში პორტის მშენებლობა არ იგეგმება“

გალის რაიონის დე-ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა თემურ ნადარაიამ დაბა პრიმორსკში პორტის მშენებლობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო. მან განაცხადა, რომ არასაკმარისი სირღმის გამო, პორტის მშენებლობისთვის ეს ადგილი

უვარგისია, ხოლო, თავად დაბა არ მოექცევა განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, რომლის მშენებლობა უახლოეს მომავალში არ იგეგმება.

გამოცემის ცნობით, გალის რაიონის დაბალ ზონაში განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შესაქმნელად კორპორაცია „ასტიკოს“ 7 ათასი ჰექტარი მიწა გამოეყო, აქედან, 4 ათასი ჰექტარი - დაჭაობებულია. დე ფაქტო აფხაზეთის პარლამენტმა „თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ“ კანონი 2015 წლის ოქტომბერში მიიღო. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა ოკუპირებულ აფხაზეთში პირველად შეიქმნება. თემურ ნადარაიას განცხადებით, აღნიშნული პროგრამის რეალიზაცია „სერიოზულ ბიძგს მისცემს რაიონის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას“.

04.05.2017 [аиааира http://aiaaira.com/news/economy/informatsiya_gruzinskih_smi_o_stroitelstve_morskogo_po_rta_v_poselke_guda_khuchy_galskogo_rayona_ne /](http://aiaaira.com/news/economy/informatsiya_gruzinskih_smi_o_stroitelstve_morskogo_po_rta_v_poselke_guda_khuchy_galskogo_rayona_ne/)

„აფხაზეთი მზად არის განიხილოს გამტარი სარკინიგზო გზის პროექტი“

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაურ კოვემ განაცხადა, რომ აფხაზეთი მზად არის გაატაროს თავის ტერიტორიაზე ტრანზიტული სარკინიგზო შემადგენლობები.

მისი თქმით, რკინიგზის გახსნას კარგი ეკონომიკური ეფექტის მოხდენა შეუძლია. „ ყველა მოთამაშეს აფხაზეთთან თანაბარ უფლებიანი პარტნიორული ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. აქ არავითარ შემთხვევაში საუბარი არ არის ქართულ რკინიგზაზე. რკინიგზა, რომელიც სატრანზიტო ტვირთებს გაატარებს, აფხაზეთის ტერიტორიაზეა და ჩვენ მზად ვართ ეს პროექტი კომერციული კუთხით განვიხილოთ და მხარეებს მოველაპარაკოთ“ – თქვა კოვემ. აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ საუბარი, რამდენიმე დღის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის აფხაზეთში სტუმრობისას განიხილეს. ლავროვმა თქვა, რომ რუსეთს ტრანზიტის აღდგენასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არა აქვს. დე-ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ კი აღნიშნა, რომ აფხაზეთი პრობლემის მოგვარების ცივილურ გზებს ემხრობა, გამომდინარე იქიდან, რომ ის სუვერენული სახელმწიფოა და არ ცხოვრობს ჩაკეტილ სივრცეში

21.04.2017 TACC <http://tass.ru/transport/4198958>

„იტალიაში აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზენტაცია გაიმართა“

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელთა შორის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი გენადი გაგულია, ასევე, ქალაქ სოხუმის დე-ფაქტო მერი და სხვა პირები იმყოფებოდნენ, იტალიის რამდენიმე ქალაქში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან საქმიანი ვიზიტისას ორმხრივ თანამშრომლობებზე ისაუბრეს. როგორც აფხაზური მედია ავრცელებს, დე-ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენლებსა და იტალიის ქალაქების ხელმძღვანელებს შორის ხელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა. აფხაზური მედია აღნიშნავს, რომ ადრე მემორანდუმს იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროც შეუერთდა.

დე-ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზენტაცია გამართეს. პალატის წარმომადგენლობა იტალიაში ოფიციალურად არის დარეგისტრირებული – წერს აფხაზური მედია.

29.04.2017 <https://www.youtube.com/watch?v=evGWewhJfYM>

„აფხაზეთში ტურისტების ნაკადმა იკლო“

არაღიარებული აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე 2016 – 2020 წლების ტურისტული სეზონებისთვის მზადების გეგმები დასახეს. გადასახადებისა და მოსაკრებლების მინისტრმა დაურ კურმაზიამ მიმდინარე წლის ტენდენციებზე საუბრისას აღნიშნა, რომ 2017 წლის პირველ კვარტალში, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ექსკურსიების რაოდენობა შემცირდა, განსაკუთრებით,

ახალ ათონსა და რიწის ტბის რელიქტურ პარკში. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია ყველა რეზერვის ამოქმედება ამ მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად.

გაგრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინფორმაციით, ტურისტების უმეტესი ნაწილი გაგრის რაიონში ჩადის. მისი თქმით, იქ მაღალი ტემპებით მიმდინარეობს მინი - სასტუმროების მშენებლობა. მიმდინარე წელს 24 ახალი ობიექტი შევიდა ექსპლუატაციაში.

ე.წ. პრეზიდენტმა, რომელიც თათბირს უძღვებოდა, აღნიშნა, რომ, თუ ტურისტების მომსახურება იმავე დონეზე დარჩება, რაც ადრე იყო, ისინი კონკურენციას ვერ გაუძლებენ, რადგან, რუსეთის ფედერაციაში ამჟამად, ხელსაყრელი პირობები იქმნება დამსვენებელთათვის, განსაკუთრებით, კრასნოდარის მხარესა და ყირიმში.

გარდაამისა, ხაჯიმბამ ხაზი გაუსვა მყარინარჩენების უტილიზაციის პრობლემას და განაცხადა, რომ მომავალ წელს, „ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს თანხა, ნაგავსაყრელის ახალი პოლიგონის ასაშენებლად, რადგან დღეს მთელი ნაგავი გუდაუთიდან სოხუმში მიაქვთ, სადაც ნაგვის გროვის სიმაღლე უკვე 7-9 მეტრს აღწევს“.

27.04.2017 апсныпресс <http://www.apsnypress.info/news/raul-khadzhimba-gagra-prevrashchaetsya-v-kamenny-meshok-kto-razreshil-narushat-arkhitekturnyy-stil/>

22.05.2017